ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს -

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის

ოქმი N 7

ბათუმი **17.06.2022**

ქალაქ ბათუმის მერის სათათბირო ორგანო - მრჩეველთა საბჭომ, რიგით მეშვიდე სხდომაზე, რომელიც გაიმართა, ამა წლის 17 ივნისს, განიხილა შემდეგი საკითხები:

საკითხი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის განხილვა.

საკითხი 2. ქ. ბათუმში, ვ. გორგასლის 150-ში, ნუგზარ ჯაფარიძის სახელობის სკვერის ტერიტორიაზე, საინფორმაციო დაფის დადგმის საკითხი.

საკითხი 3. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტების ჩართვის საკითხი, პრაქტიკის მიზნის ქალაქში სხვადასხვა პროექტებში.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების უმრავლესობამ მოსაზრებები შეაჯერა შემდეგ საკითხებზე:

საკითხი 1. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის განხილვა მოხდა დისკუსიის ფორმატში, საბჭოს წევრების მიერ გამოითქვა მოსაზრებები, რომელიც მივაწოდეთ მერიის სამსახურების ხელმძღვანელებს.

საკითხი 2. ქ. ბათუმში, ვ. გორგასლის 150-ში, ნუგზარ ჯაფარიძის სახელობის სკვერის ტერიტორიაზე, საინფორმაციო დაფის დადგმის საკითხი.

საბჭოს წევრების უმრავლესობის აზრით ვ. გორგასალის ქ. 150-ში მოწყობილ სკვერში საინფორმაციო დაფის დადგმის შემთხვევაში, ის ნამდვილად იქნება ერთ-ერთ დამატებითი საინფორმაციო წყარო, ცნობილი მწერლის და ყველასათვის საყვარელი ბათუმელის ნუგზარ ჯაფარიძის შესახებ.

საკითხი 3. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტების ჩართვის საკითხი, პრაქტიკის მიზნის ქალაქში სხვადასხვა პროექტებში.

საბჭოს უმრავლესობის აზრით, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტბის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტების ჩართვა, პრაქტიკის მიზნით, ქალაქის სხვადასხვა არქიტექტურული თუ ქალაქის ურბანული განვითარების პროექტებში, იქნება მნიშნველოვანი გამოცდილება მათთვის. ამავდროულად ქალაქის ამ მიმართულებების დარგის სამსახურებს ექნებათ ერთგვარი ბაზა, ნიჭიერი და უნარიანი მომავალი არქიტექტორების და სპეციალისტების შესახებ, რომელიც შეიძლება ნამდვილად გახდეს მათი შესაძლებლობების სწორად მიმართვის საფუძველი ქალაქის სამომავლო პროექტებში.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ქ. ბათუმი

17.06.2022

მრჩეველთა საბჭოს წევრები:

N	სახელი და გვარი	პოზიცია	ხელმოწერა
1	აფხაზავა ირმა	წევრი	
2	აფხაზავა ნათია	წევრი	—
3	გუდავა თამარ	თავმჯდომარე	
4	თურმანიძე თამაზ	წევრი	
5	ინაიშვილი ნინო	წევრი	—
6	კვირიკაძე მაყვალა	წევრი	
7	ლორია მანუჩარ	წევრი	
8	მაჭარაშვილი რამინ	თავმჯდომარის მოადგილე	—
9	მეიშვილი თამილა	წევრი	
10	ნაკაშიძე ლაშა	წევრი	—
11	ქათამაძე ციური	წევრი	
12	ქობულაძე დავით	წევრი	
13	შავიშვილი რუსუდან	წევრი	
14	შერვაშიძე ალექსანდრე	მდივანი	—